კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეძენილი და საქმიანობის პროცესში გამოყენებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ასახვა ხორციელდება ბალანსის შესაბამის ანგარიშებზე, მისი გამოყენების ფორმის მიხედვით. მარაგების ძირითადი სახეებია საკვები პროდუქტები, სასმელები და საწვავი ავტომობილებისთვის. საქმიანობის პროცესში ყოველდღიურად ხდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გამოყენება-გახარჯვა, ხოლო ჩამოწერა ყოველი თვის ბოლოს ჩატარებული ინვენტარიზაციის საფუძველზე, საშუალო შეწონილი მეთოდით (რაც შესადარისია პერიოდის განმავლობაში შეძენილი ან წარმოებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საშუალო შეწონილი თვითღირებულებების).

მცირეფასიანი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები პირდაპირ აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ხარჯებში.

*ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები*

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობის გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულებების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

8-24 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილის.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

### *პირობითი აქტივები და ვალდებულებები*

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

### *ფინანსური ინსტრუმენტები*

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს თავის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე არის აღიარებული მოგებაში ან ზარალში.

### *ფინანსური აქტივები*

ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კონკრეტულ კატეგორიებად: რეალური ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსურ აქტივის ხასიათსა და მიზნობრიობაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

### *ფინანსური აქტივების გაუფასურება*

ანგარიშების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს შესაძლო გაუფასურების ინდიკატორად:

- ემიტენტის ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინასური სირთულეები;

8-24 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილის.

- კონტრაქტორის პირობების დარღვევა;
- ზირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია ;
- აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური სირთულეების გამო;

ფინანსური აქტივები რომელთა გაუფასურება ინდივიდუალურმა შეფასებამ არ გამოავლინა დამატებით, კოლექტიურადაც ფასდება გაუფასურების დასადგენად. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ქტივების სემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივი საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დრევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ანალოგიურ ფინანსურ აქტივზე არსებული საბაზრო უკუგების განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით. ასეთი გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდში არ შებრუნდება

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, თუ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარისის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო

ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვეში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგებაში ნა ზარალში ასახვის მეშვეობით იმდენად, რომ გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რო არ აღიარებულიყო.

*ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა*

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ)კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შეივიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

8-24 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილის.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

### *ეფექტური საპროცენტო განაკვეთი*

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე მოკლე პერიოდი განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გარდა მოგება ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული აქტივებისა.

### *ფული და ფულის ეკვივალენტები*

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგავარი საკონტრაქტო დატვირთვებისაგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

### *სესხები და მოთხოვნები*

სესხები და მოთხოვნები არის არაკოტირებული არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული განსაზღვრული გადახდებით, მათ გარდა, რომლებიც კომპანიას გადაწყვეტილი აქვს, რომ ახლო მომავალში გაყიდოს. კომპანიის სესხები და დებიტორული დავალიანებები შედგება „სავაჭრო და სხვა დებიტორული დავაალიანებისა“ და „ფული და ფულის ექვივალენტებისგან“, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

### *ფინანსური ვალდებულებები*

### *მოზიდულ და საკუთარ კაპიტალად კლასიფიცირება*

კომპანიის საწარმოს მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულება ან როგორც კაპიტალი, სახელშეკრულებო პირობებისა და ფინანსური ვალდებულებებისა და წილობრივი ინსტრუმენტების განმარტებების მიხედვით.

### *ფინანსური ვალდებულებები*

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია სავაჭრო და სხვა ვალდებულებებად. ფინანსური ვალდებულება საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით, ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის 8-24 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილის.

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

მიხედვით, ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწელებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდი განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებებისგან და გადასახდელი ბრძელვადიანი სესხებისგან.

*ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა*

კომპანია ფინანსურ ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ კომპანიის ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში, როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულებების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულებების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება მოგებასა და ზარალში.

*საწესდებო კაპიტალი*

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით, კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძვნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება, როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცემულობით, რა მოცემულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძვნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

*დივიდენდები*

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა, დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

*4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები*

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებების და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდეებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებისა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომანიის ფუნქციონირებას

8-24 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილის.

განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

*ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები*

როგორც ზემოთ აღინიშნა კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს . აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ცვეთის ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

*სასამართლო დავები*

სასამართლო დავებიდან ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა. სასამართლო დავის შედეგები დამოკიდებულია მნიშვნელოვან განუსაზღვრელობაზე.

*ფინანსური აქტივის გაუფასურება*

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ, დამდგარმა ერთმა ან მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულის ნაკადზე. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურებას წარსული გამოცდილების საფუძველზე. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაძღვრელობებიდან გამომდნარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

8-24 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილის.

## *5. ძირითადი საშუალებები*

| ძირითადი საშუალებები | მიწა | მოწყობილობები ობიექტებზე | შენობები | ოფისის აღჭურვილობა | ავეჯი და სხვა ინვენტარი | სატრანსპორტო საშუალებები | არამატერიალური აქტივები | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ისტორიული ღირებულება** | **2,057,419** | **8,045,763** | **44,735,079** | **230,317** | **7,658,502** | **30,000** | **76,262** | **62,833,343** |
| შემოსვლა | | | 1,277,386 | 1,342 | 962,424 | | 3,117 | 2,244,268 |
| გადაფასება | | | | | | | | |
| გასვლა | | (138,682) | | | | | | (138,682) |
| **31 დეკემბერი 2018** | **2,057,419** | **7,907,081** | **46,012,465** | **231,659** | **8,620,926** | **30,000** | **79,379** | **64,938,929** |
| **ცვეთა და გაუფასურება** | | | | | | | | |
| **დაგროვილი ცვეთა** | **-** | **(2,255,325)** | **(5,569,978)** | **(88,688)** | **(3,310,711)** | **(10,746)** | **(9,020)** | **(11,244,468)** |
| პერიოდის ცვეთა | | (624,731) | (1,964,795) | (28,454) | (939,867) | (3,851) | (11,712) | (3,573,410) |
| გასვლა | | 50,476 | | | | | | 50,476 |
| **31 დეკემბერი 2018** | **-** | **(2,829,580)** | **(7,534,773)** | **(117,142)** | **(4,250,579)** | **(14,597)** | **(20,732)** | **(14,767,402)** |
| **წმინდა საბალანსო ღირებულება** | | | | | | | | |
| **31 დეკემბერი 2017** | **2,057,419** | **5,790,438** | **39,165,101** | **141,629** | **4,347,791** | **19,254** | **67,242** | **51,588,875** |
| **31 დეკემბერი 2018** | **2,057,419** | **5,077,501** | **38,477,692** | **114,517** | **4,370, 347** | **15,403** | **58,647** | **50,171,526** |

## *6. მარაგები*

| **- სასაქონლო–მატერიალური მარაგები** | **31.12.2018** | **01.01.2018** |
|---|---|---|
| - საქონელი | 686,208 | 595,583 |
| - საქონელი მაღაზიებში და სალონში | 109,682 | 130,802 |
| - სახარჯი ნედლეული და მასალები | 57,866 | 7,241 |
| - სხვა ნედლეული და მასალები | 18,004 | 35,002 |
| **სულ სასაქონლო–მატერიალური მარაგები** | **871,760** | **768,628** |

## *7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები*

| **- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები** | **31.12.2018** | **01.01.2018** |
|---|---|---|
| მოთხოვნები მიწოდებიდან ან მომსახურებიდან | 813,377 | 591,278 |
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები | 775,706 | 243,422 |
| **სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები** | **1,589,083** | **834,700** |

8-24 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილის.

## *8. ფული და ფულის ეკვივალენტები*

| **სულ ფული და ფულის ეკვივალენტები** | **31.12.2018** | **01.01.2018** |
|---|---|---|
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 178,606 | 1 |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 2,870 | 85 |
| ნაღდი ფული სალაროში | 350,501 | 437,156 |
| ნაღდი ფული სავალუტოში | 3,210 | 36,372 |
| **სულ ფული და ფულის ეკვივალენტები** | **535,187** | **473,614** |

## *9. კაპიტალი*

| | **საწესდებო კაპიტალი** | **გადაფასების რეზერვი** | **გაუნაწილებელი მოგება** | **მთლიანი კაპიტალი** |
|---|---|---|---|---|
| **2017 წლის 31 დეკემბერი** | **21,330,739** | **2,250,126** | **(27,274,282)** | **(3,693,416)** |
| მოგება/(ზარალი) | | | (1,609,121) | (1,609,121) |
| კაპიტალის ზრდა | 7,370,391 | | | 7,370,391 |
| **2018 წლის 1 იანვარი** | **28,701,130** | **2,250,125** | **(27,274,281)** | **3,676,974** |
| წმინდა მოგება | | | (6,066,163) | (6,066,163) |
| სხვა სრული შემოსავალი | | | | |
| პერიოდის სრული შემოსავალი | | | (6,066,163) | (6,066,163) |
| გაცემული დივიდენდები | | | | |
| **2018 წლის 31 დეკემბერი** | **28,701,130** | **2,250,125** | **(33,340,445)** | **(2,389,189)** |

## *10. გრძელვადიანი სესხები*

| **გრძელვადიანი სესხები** | **31.12.2018** | **01.01..2018** |
|---|---|---|
| გრძელვადიანი სესხები | 45,928,901 | 42,194,818 |
| **სულ მოკლევადიანი სესხები** | **45,928,901** | **42,194,818** |

## *11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები*

| **სავაჭრო და სხვა ვალდებულებები** | **31.12.2018** | **01.01.2018** |
|---|---|---|
| სავაჭრო ვალდებულებები | 5,519,167 | 5,523,605 |
| მიღებული ავანსები | 251,758 | 28,473 |
| გადასახდილი პროცენტი | 3,552,255 | 2,243,425 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 154,230 | (1,479) |
| **სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები** | **9,477,410** | **7,794,024** |

8-24 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილის.

მიღებული ავანსის თანხები შედგება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კლიენტების ბარათებზე დარჩენილი ფულადი სახსრებისგან.

### *12. საოპერაციო შემოსავლები*

| საოპერაციო შემოსავლები | 2018 | 2017 |
|---|---|---|
| შემოსავლები რეალიზაციიდან | 5,285,689 | 11,641,724 |
| სხვა საოპერაციო შემოსავლები | 1,296,959 | |
| **სულ საოპერაციო შემოსავლები** | **6,582,648** | **11,641,724** |

### *13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები*

| - საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | 2018 | 2017 |
|---|---|---|
| საიჯარო ქირა | 40,344 | 35,593 |
| კომუნიკაციის და კომუნალური ხარჯები | 728,278 | 1,150,047 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 3,573,410 | 3,852,913 |
| სასტუმრო მომსახურების ხარჯი | 433,653 | |
| პერსონალის ხარჯი | 1,456,278 | 2,248,200 |
| საკონსულტაციო ხარჯები | 142,238 | 99,031 |
| ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები | 489,555 | 520,984 |
| სხვა საერთო ხარჯი | 813,538 | 1,299,940 |
| **საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები** | **7,677,295** | **9,206,708** |

### *14. ფინანსური შემოსავალი/(ხარჯები)*

| ფინანსური შემოსავალი/(ხარჯები) | 2018 | 2017 |
|---|---|---|
| არასაოპერაციო შემოსავალი | | 1,164,355 |
| **სულ არასაოპერაციო შემოსავლები** | | **1,164,355** |
| არასაოპერაციო ხარჯები | (2,294,921) | (3,493,317) |
| **სულ არასაოპერაციო ხარჯები** | **(2,294,921)** | **(3,493,317)** |
| **სულ ფინანსური ხარჯები** | **(2,294,921)** | **(2,328,962)** |

### *15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან*

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 (დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები) დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ კომპანიას, კონტროლდებიან მის მიერ ან კომპანიასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

8-24 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილის.

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც კომპანია არის დამფუძნებელი;

(დ) საზოგადოების, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. მერსინ ტურიზმს და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ მერსინ ტურიზმის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში მერსინ ტურიზმის წილის ოდენობით და ამ შენიშვნაში ასეთი ტრანზაქციები არ არის წარმოდგენილი.

მენეჯმენტზე გაცემულ ხელფასებს 2018 წელს ჰქონდა შემდეგი სტრუქტურა:

| | 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის |
|---|---|
| დირექტორატისთვის გადახდილი ხელფასი | 42,667 |
| **სულ დაკავშირებულ მხარეებზე გადახდილი ხელფასი და სხვა სარგებელი** | **42,667** |

## *16. ფუნქციონირებადი საწარმო*

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ამ ეტაპზე არის ზარალიანი, მიმდინარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებული იქნა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე და გაგრძელდება ექსპლუატაციის ფაზაზე უახლოეს მომავალში. კომპანიას არ აქვს განზრახვა ფულად აქციოს ან მატერიალურად შეზღუდოს თავისი საქმიანობის მასშტაბი. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

8-24 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილის.

## *17. გაუთვალისწინებელი გარემოებები*

### დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირად იცვლება მისი საკანონმდებლო და ოფიციალური დებულებები, გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია, წინააღმდეგობრივია და მათი ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად წარმოებს. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში არანაირი ვალდებულებების, ჯარიმების და საურავების დაწესება არ არის შესაძლებელი, თუ სამ წელზე მეტი იქნება გასული საგადასახადო წლიდან, როდესაც მოხდა დარღვევა.

აღნიშნული გარემო საქართველოში ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამის ორგანოებს, შესაძლოა ჰქონდეთ სხვა ინტერპრეტაციები და მათი ინტერპრეტაციების წარმატებით აღსრულების შემთხვევაში ფინანსურ ანგარიშგებაზე ზეგავლენა შესაძლებელია იყოს მნიშვნელოვანი.

## *18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები*

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.

8-24 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილის.

**საქმიანობის მიმოხილვა**
**შპს “მერსინ ტურიზმი”**
**მმართველობის ანგარიშგება**

*1. შესავალი*

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები და საორიენტაციო ღირებულებები; მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია ფაქტობრივ მაჩვენებლებს კომპანიის განვითარების პოტენციალისა. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის.
აღნიშნულ დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავალო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

*2. წარდგინება დირექტორისაგან*

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს ,,მერსინ ტურიზმი”-ს მმართველობის ანგარიშგება.
ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდება გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტურობის პარალელურად. ჩვენი რესურსი ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ კომპანიაში გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მიზანი, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა. მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

*3. კომპანიის შესახებ*

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მერსინ ტურიზმი“, სასატუმრო „ჯრვ ველმონდი“,ს/კ 445403288, დარეგისტრირებულია საქართველოში, 2011 წლის 14 ნოემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართი და ძირითადი საქმიანობის ადგილი არის: საქართველო, ბათუმი გოგებაშვილის 60. მისი ძირითადი საქმიანობაა: სასტუმროები და მსგავსი განთავსების საშუალებები რესტორნებით.
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნებლები დღემდე არიან: თოლგა ავგორენი-80%-63628130504, U03825560,; ათილგან არიფაღაოღლუ-20%-24562244818, U 09600148.

*4. კომპანიის საქმიანობა*

შპს მერსინ ტურიზმი სასტუმრო „ჯრვ ველმონდი“ არის საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი 5 ვარსკლავიანი სასტუმრო კომპლექსი ,რომელიც გვთავაზობს მსოფლიო კლასის მომსახურეობას. შპს მერსინ ტურიზმი სასატუმრო „ჯრვ ველმონდი“-ს ოთახების საერთო რაოდენობა 194 -ია, რომელიც გამოირჩევა მაღალი სტანდარტების ოთახებით საიდანაც იშლება საუკეთესო ზღვის ხედები,სასტუმრო ორიენტირებულია უმაღლესი სტანდარტების მომსახურებით.

სასტუმროში არის სხვადასხვა სახის მომსახურეობები: სპა ცენტრი, რესტორანი ლუნა,ლობი ბარი,მაღაზიები,სილამაზის სალონი ,საკონფერენციო დარბაზები ,საქორწილო დარბაზები .შპს მერსინ ტურიზმი სასტუმრო „ჯრვ ველმონდი" მდებარეობს შემდეგ მისამართზე:ბათუმი , გოგებაშვილის 60.

შპს მერსინ ტურიზმი სასტუმრო „ჯრვ ველმონდი"-ში ოთახები დაყოფილია ყველანაირის ტიპის ოთახებით :ერთადგილიანი, ორადგილიანი, საოჯახო ტიპის, უნარშეზღუდული პირების ასევე ლუქსი და საპრეზიდენტო ნომრებით, დღეის მდგომარეობით შპს მერსინ ტურიზმი სასტუმრო „ჯრვ ველმონდი" ბაზარზე ინარჩუნებს წამყვან პოზიციებს თუმცა ბაზრის წილი შემცირებულია ფორსმაჟორული სიტუაციების გამო.

ჩვენი კომპანია მუდმივად ზრუნავს რომ ჰყავდეს კვალიფიციური და გადამზადებული კადრები,რისთვისაც არაერთხელ იქნა მოწვეული ტრეინინგების ჩასატარებლად სხვადასხვა სეგმენტებიდან პროფესიონალთა ჯგუფი.

### *5. შიდა სტრუქტურა*

ჩვენს კომპანიაში მკაცრადაა განსაზღვრული თანამდებობრივი იერარქია და
უფლება-მოვალეობები.

კომპანიის დამფუძნებლები არიან:

თოლგა ავგორენი-80%-63628130504, U03825560,
ათილგან არიფაღაოღლუ-20%-24562244818, U 09600148.
კომპანიის მთავარი სათათბირო და მმართველობითი ორგანოა - „ბორდი". „ბორდის" ფუნქციებია: კომპანიის მიმდინარე საკითხების განხილვა/გადაწყვეტა, რგოლებს შორის კოორდინაცია/კომუნიკაცია, სტრატეგიული გეგმების განხილვა. მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლი. ჩვენ ოპერაციებს ვახორციელებთ სათაო ოფისის მეშვეობით, არ გაგვაჩნია ფილიალები და ახლო მომავალშიც არ ვგეგმავთ ამ მოდელის შეცვლას. ჩვენთან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულია 150 ადამიანი.

### *6. სამომავლო გეგმები*

კომპანიის ზოგადი სტრატეგია 2015 წლიდან უცვლელია. კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება წმინდა სესხისგან და კომპანიის კაპიტალისგან (საწესდებო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება). კომპანიაზე კაპიტალის გარე მოთხოვნები არ ვრცელდება.

რადგან სასტუმრო ზარალიანი კომპანია გეგმავს განსხვავებული პროექტების განხორციელებას უახლოეს მომავალში. რათა გაზარდოს ვიზიტორების რაოდენობა და შესაბამისად შემოსავლები, მოსალოდნელია ფასების შემცირება ასევე კვალიფიციური კადრების აყვანა. კომპანიის მენეჯმენტის გათვლებით აღნიშნული ცვლილება განაპირობებს გაყიდვების გაზრდას 10%.

### *7. რისკ-ფაქტორები*

ჩვენი საქმიანობასთან დაკავშირებულია ძირითადი რისკი წარმოადგენს დებიტორის მიერ დავალიანების არ გადახდა. ამ რისკის ალბათობა და კომპანიის საქმიანობაზე ზემოქმედების მასშტაბები ჩვენს მიერ გაანალიზებულია და მისი შემცირებისთვის შემუშავებულია სპეციალური კონტროლი ჩვენს პროგრამულ

უზრუნველყოფაში. კერძოდ, პროგრამა გვაწვდის ინფორმაციას, როდესაც დებიტორის დავალიანება უახლოვდება სარისკო ნიშნულს და ამ ინფორმაციის საფუძველზე ჩვენ ვატარებთ შესაბამის ღონისძიებებს.

***უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა***

კომპანია ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში კომპანია მიმართავს კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადექვატური რეაგირებისათვის. კომპანია ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას,
აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში. მმართველობითი ანგარიშგების წარმოდგენაზე პასუხიმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი

შპს “მერსინ ტურიზმი”-ს
დირექტორი მ/პ: ალფერ ფინარი

საქმიანობის მიმოხილვა
შპს “მერსინ ტურიზმი”
მმართველობის ანგარიშგება

*1. შესავალი*

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები და საორიენტაციო ღირებულებები; მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია ფაქტობრივ მაჩვენებლებს კომპანიის განვითარების პოტენციალისა. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის.
აღნიშნულ დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავალო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

*2. წარდგინება დირექტორისაგან*

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს ,,მერსინ ტურიზმი”-ს მმართველობის ანგარიშგება.
ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდება გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტურობის პარალელურად. ჩვენი რესურსი ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ კომპანიაში გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მიზანი, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა. მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

*3. კომპანიის შესახებ*

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მერსინ ტურიზმი“, სასატუმრო „ჯრვ ველმონდი“,ს/კ 445403288, დარეგისტრირებულია საქართველოში, 2011 წლის 14 ნოემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართი და ძირითადი საქმიანობის ადგილი არის: საქართველო, ბათუმი გოგებაშვილის 60. მისი ძირითადი საქმიანობაა: სასტუმროები და მსგავსი განთავსების საშუალებები რესტორნებით.
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნებლები დღემდე არიან: თოლგა ავგორენი-80%-63628130504, U03825560,; ათილგან არიფაღაოღლუ-20%-24562244818, U 09600148.

*4. კომპანიის საქმიანობა*

შპს მერსინ ტურიზმი სასტუმრო „ჯრვ ველმონდი“ არის საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი 5 ვარსკლავიანი სასტუმრო კომპლექსი ,რომელიც გვთავაზობს მსოფლიო კლასის მომსახურეობას. შპს მერსინ ტურიზმი სასატუმრო „ჯრვ ველმონდი“-ს ოთახების საერთო რაოდენობა 194 -ია, რომელიც გამოირჩევა მაღალი სტანდარტების ოთახებით საიდანაც იშლება საუკეთესო ზღვის ხედები,სასტუმრო ორიენტირებულია უმაღლესი სტანდარტების მომსახურებით.

სასტუმროში არის სხვადასხვა სახის მომსახურეობები: სპა ცენტრი, რესტორანი ლუნა,ლობი ბარი,მაღაზიები,სილამაზის სალონი ,საკონფერენციო დარბაზები ,საქორწილო დარბაზები .შპს მერსინ ტურიზმი სასტუმრო „ჯრვ ველმონდი" მდებარეობს შემდეგ მისამართზე:ბათუმი , გოგებაშვილის 60.

შპს მერსინ ტურიზმი სასტუმრო „ჯრვ ველმონდი"-ში ოთახები დაყოფილია ყველანაირის ტიპის ოთახებით :ერთადგილიანი, ორადგილიანი, საოჯახო ტიპის, უნარშეზღუდული პირების ასევე ლუქსი და საპრეზიდენტო ნომრებით, დღეის მდგომარეობით შპს მერსინ ტურიზმი სასტუმრო „ჯრვ ველმონდი" ბაზარზე ინარჩუნებს წამყვან პოზიციებს თუმცა ბაზრის წილი შემცირებულია ფორსმაჟორული სიტუაციების გამო.

ჩვენი კომპანია მუდმივად ზრუნავს რომ ჰყავდეს კვალიფიციური და გადამზადებული კადრები,რისთვისაც არაერთხელ იქნა მოწვეული ტრეინინგების ჩასატარებლად სხვადასხვა სეგმენტებიდან პროფესიონალთა ჯგუფი.

*5. შიდა სტრუქტურა*

ჩვენს კომპანიაში მკაცრადაა განსაზღვრული თანამდებობრივი იერარქია და
უფლება-მოვალეობები.

კომპანიის დამფუძნებლები არიან:

თოლგა ავგორენი-80%-63628130504, U03825560,
ათილგან არიფაღაოღლუ-20%-24562244818, U 09600148.
კომპანიის მთავარი სათათბირო და მმართველობითი ორგანოა - „ბორდი". „ბორდის" ფუნქციებია: კომპანიის მიმდინარე საკითხების განხილვა/გადაწყვეტა, რგოლებს შორის კოორდინაცია/კომუნიკაცია, სტრატეგიული გეგმების განხილვა. მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლი. ჩვენ ოპერაციებს ვახორციელებთ სათაო ოფისის მეშვეობით, არ გაგვაჩნია ფილიალები და ახლო მომავალშიც არ ვგეგმავთ ამ მოდელის შეცვლას. ჩვენთან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულია 150 ადამიანი.

*6. სამომავლო გეგმები*

კომპანიის ზოგადი სტრატეგია 2015 წლიდან უცვლელია. კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება წმინდა სესხისგან და კომპანიის კაპიტალისგან (საწესდებო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება). კომპანიაზე კაპიტალის გარე მოთხოვნები არ ვრცელდება.

რადგან სასტუმრო ზარალიანი კომპანია გეგმავს განსხვავებული პროექტების განხორციელებას უახლოეს მომავალში. რათა გაზარდოს ვიზიტორების რაოდენობა და შესაბამისად შემოსავლები, მოსალოდნელია ფასების შემცირება ასევე კვალიფიციური კადრების აყვანა. კომპანიის მენეჯმენტის გათვლებით აღნიშნული ცვლილება განაპირობებს გაყიდვების გაზრდას 10%.

*7. რისკ-ფაქტორები*

ჩვენი საქმიანობასთან დაკავშირებულია ძირითადი რისკი წარმოადგენს დებიტორის მიერ დავალიანების არ გადახდა. ამ რისკის ალბათობა და კომპანიის საქმიანობაზე ზემოქმედების მასშტაბები ჩვენს მიერ გაანალიზებულია და მისი შემცირებისთვის შემუშავებულია სპეციალური კონტროლი ჩვენს პროგრამულ

უზრუნველყოფაში. კერძოდ, პროგრამა გვაწვდის ინფორმაციას, როდესაც დებიტორის დავალიანება უახლოვდება სარისკო ნიშნულს და ამ ინფორმაციის საფუძველზე ჩვენ ვატარებთ შესაბამის ღონისძიებებს.

*უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა*

კომპანია ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში კომპანია მიმართავს კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადექვატური რეაგირებისათვის. კომპანია ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას,
აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში. მმართველობითი ანგარიშგების წარმოდგენაზე პასუხიმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი

შპს “მერსინ ტურიზმი”-ს
დირექტორის მ/პ
---
ალფერ ფინარ

LTD MERSIN TOURISM
WELMOND
445403288